საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 28 იანვრის
დადგენილება № 1415

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის
ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. არაბიძის
და სხვა დეკანების მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მიღება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის, ბიზნეს-ინჟინერინგის , და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამებზე: „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“, „არქიტექტურა, „სოციალური მეცნიერებები“, „ინფორმატიკა“ და „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“.
2. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.
3. შეიქმნას 2014-20154 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების და თანმდევი დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები.
4. შეიქმნას საპრეტენზიო კომისია უცხოურ ენაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე